

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური მიმოხილვა

I კვარტალი, 2021



მოკლე შეჯამება

- წინასწარი მონაცემებით ეკონომიკურმა ზრდამ 2020 წელს შეადგინა -6.2 პროცენტი
- ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საქართველოსთვის 2021 წელს: 3.5 პროცენტი
- პირველ კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 4.5 პროცენტი, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 6.2 პროცენტი
- ექსპორტი გაიზარდა წლიურად 5.2 პროცენტით
- იმპორტი შემცირდა წლიურად 15.6 პროცენტით
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლი შემცირდა 87.5 პროცენტით
- რეფინანსირების განაკვეთი გაიზარდა და შეადგენს 8.5 პროცენტს





სარჩევი

| | |
|--------------------------------|-----------|
| რეალური სექტორი | 4 |
| ეკონომიკური ზრდა | 4 |
| დასაქმება და უმუშევრობა | 6 |
| ფასების დონე | 7 |
| რეგიონის ეკონომიკური მიმოხილვა | 9 |
| | |
| საგარეო სექტორი | 11 |
| მიმდინარე ანგარიშის ბალანსი | 11 |
| საგარეო ვალი | 12 |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები | 12 |
| საგარეო ვაჭრობა | 13 |
| ტურიზმი | 14 |
| ფულადი გზავნილები | 15 |
| სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება | 16 |
| გაცვლითი კურსი | 17 |
| | |
| ფისკალური სექტორი | 18 |
| ნაერთი ბიუჯეტის შესრულება | 18 |
| საქართველოს სახელმწიფო ვალი | 20 |
| | |
| მონეტარული სექტორი | 21 |
| კერძო სერტორის ლარიზაცია | 21 |
| სესხების მიმოხილვა | 22 |
| დეპოზიტების მიმოხილვა | 23 |
| მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი | 24 |
| საპროცენტო განაკვეთები | 25 |




რეალური სექტორი

ეკონომიკური ზრდა


2020 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.8 პროცენტით შემცირდა. აღნიშნული კლება გამოწვეულია ეკონომიკური აქტივობის შემცირებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონში COVID-19 პანდემიის გავრცელების გამო. ნომინალური ექსპორტი შემცირდა 30.9 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. უცხოეთიდან ტურისტული შემოსავლების შეწყვეტის ფონზე, მომსახურების ექსპორტი შემცირდა 69 პროცენტით. ხოლო იმპორტი შემცირდა 13.2 პროცენტით. წმინდა ექსპორტმა ეკონომიკურ ზრდაში -10 პპ წვლილი შეიტანა. მესამე კვარტალთან შედარებით, წმინდა ექსპორტის უარყოფითი გავლენა არ არის შესაბამისად დაბალანსებული სხვა კომპონენტების მიერ. მოხმარების წვილი ეკონომიკურ ზრდაში შეადგენს 0.6 პპ-ს, ხოლო ინვესტიციების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში უდრის 2.6 პპ-ს.

2020 წლის მეორე ნახევარში განახლებულმა გადაადგილების შეზღუდვამ და სხვა ზომებმა გამოიწვია მშპ-ს წლიურად შემცირება 6.8 პროცენტით 2020 წლის მეოთხე კვარტალში. რეალური მშპ შემცირდა 6.2 პროცენტით. 2020 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა -6.2 პროცენტით განისაზღვრა. COVID-19 პანდემიის უარყოფითი ეფექტების გამოვლინება დაიწყო პირველი კვარტლიდან. უცხოეთიდან ვიზიტების რაოდენობის კლება დაიწყო თებერვალში, ხოლო მარტში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების და საზღვრების ჩაკეტვის გამო, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი თითქმის ნულს გაუტოლდა. შესაბამისად, მნიშვნელოვნად შემცირდა ტურისტული ინდუსტრიის გამოშვება, რომელიც დაკავშირებულია სხვა სექტორებთან და უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმოადგენდა ეკონომიკის დიდ ნაწილს. 2020 წელს, რეალურ გამოსახულებაში, მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების სექტორში (-37.9 პროცენტი წ/წ), ტრანსპორტის და დასაწყობების (-22.3 პროცენტი წ/წ), ვაჭრობის (-5.6 პროცენტი წ/წ), მშენებლობის (-4.7 პროცენტი წ/წ), ხელოვნების, გართობის და დასვენების (-18.9 პროცენტი წ/წ) სექტორებში. კრიზისმა ნაკლებად იმოქმედა ინდუსტრიულ და


დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა



დიაგრამა 2: სექტორების ზრდა (რეალური), 2020




დიაგრამა 3: ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია






დიაგრამა 4: ეკონომიკური ზრდის პროგნოზი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 5: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, ათასი აშშ დოლარი



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

სოფლის მეურნეობის სექტორებზე. რეალური ზრდა დაფიქსირდა სოფლის მეურნეობის (+3.6 პროცენტი წ/წ), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობების (+7.9 პროცენტი წ/წ) და განათლების (+3.1 პროცენტი წ/წ) სექტორებში.

2020 წლის ეკონომიკურ ვარდნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წმინდა ექსპორტის ცვლილებამ, -10.4 პპ. წმინდა ექსპორტის მკვეთრად უარყოფითი წვლილი ნაწილობრივად დააბალანსა გაზრდილმა მოხმარებამ, 4.7 პპ-ით, რაც უკავშირდება გაზრდილ ფისკალურ სტიმულს პანდემიიდან უარყოფითი შედეგების შერბილების მიზნით.

2021 წელი ასევე დაიწყო ეკონომიკური ზრდის უარყოფითი მაჩვენებლით, რომელიც გამოწვეულია უცხოურ მგზავრობებზე და ქვეყნის შიგნით არსებული სოციალური დისტანცირების ღონისძიებებით. წინასწარი შეფასებით, 2021 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ს კლებამ 5.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო იანვარ-თებერვლის საშუალო მაჩვენებელი -8.3 პროცენტია. 2021 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, კლება შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, განთავსების საშუალებით უზრუნველყოფა, ხელოვნება, გართობა და დასვენება, ტრანსპორტი და დასაწყობება, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები და დამამუშავებელი მრეწველობა. ზრდა დაფიქსირდა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების, ვაჭრობის, წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ნარჩენების მართვის სექტორებში.

2021 წლის განმავლობაში ზრდა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული სოციალური დისტანცირების შეზღუდვების შერბილებაზე და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობაზე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვაქცინაციის პროცესზე, რომელიც დაიწყო მარტში, თუმცა მიმდინარეობს ნელი ტემპებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივი პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს მოსალოდნელია 3.5 პროცენტის ეკონომიკური ზრდა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შიდა მოთხოვნის ზრდით და ბიუჯეტში გათვალისწინებული ფისკალური სტიმულების ღონისძიებებით.




დასაქმება და უმუშევრობა

2020 წლის მეოთხე კვარტალში უმუშევრობის დონემ 20.4 პროცენტი შეადგინა, რაც 3.5 პპ-ით მეტია წინა კვარტლის მნიშვნელობაზე. მათ შორის, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 22.2 პროცენტს (+5.6 პპ წ/წ), ხოლო სოფლად - 17.7 პროცენტს (+1 პპ წ/წ). უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით 15-24 და 25-34 ასაკობრივი ჯგუფები გამოირჩევა. 2020 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 50 პროცენტი შეადგინა. 2020 წლის მეოთხე კვარტალში, ქალების ჯგუფში უმუშევრობის დონემ შეადგინა 17.8 პროცენტი, ხოლო მამაკაცების ჯგუფში, აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 22.4 პროცენტი.

COVID-19 ეპიდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზრდის შემცირების გამო, რომელმაც 2020 წლის მეოთხე კვარტალში შეადგინა -6.8 პროცენტი, დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 6.2 პროცენტით წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.3 პროცენტული პუნქტით შემცირებულია დასაქმების დონე. აღნიშნულის შედეგად, პროდუქტიულობა (რეალური გამოშვების შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობაზე) წლიურად შემცირდა 0.7 პროცენტით. ამავე დროს, 0.4 პროცენტით შემცირდა დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი, რომელიც 2020 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით შეადგენს 1314 ლარს.

2020 წელს უმუშევრობის დონის მაჩვენებელმა შეადგინა 18.5 პროცენტი, რაც აღემატება 2019 წლის მნიშვნელობას 0.9 პპ-ით. ასევე 1.5 პპ-ით შემცირდა დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც გაუტოლდა 41.1 პროცენტს. დასაქმებულთა 31.9 პროცენტი შეადგენს თვითდასაქმებულებს, ხოლო 68.1 პროცენტი წარმოადგენს დაქირავებულ სამუშაო ძალას, რომლის აქტიურობის დონე ასევე შემცირებულია 1.3 პპ-ით და უდრის 50.5 პროცენტს.

დიაგრამა 6: შრომის ბაზრის ინდიკატორები



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 7: პროდუქტიულობა და დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (წლიური ცვლილება, %)



წყარო: საქსტატი




ფასების დონე

2020 წლის განმავლობაში ინფლაციის მაჩვენებლის დინამიკაზე ხდებოდა მნიშვნელოვანი წინეი როგორც მიწოდების, ასევე - მოთხოვნის მხრიდან. COVID-19 ვირუსის გავრცელების გამო არსებული შეზღუდვები ართულებს და ანელებს წარმოებას, რაც იწვევს დანახარჯების ზრდას, ეს კი აისახება საბოლოო პროდუქტის ფასზე. ამასთან ერთად, არსებული ლარის გაუფასურება ზრდის იმ ფირმების ხარჯებს, ვისაც გააჩნია სესხი უცხოურ ვალუტაში, რაც იმპორტირებულ ინფლაციასთან ერთად განაპირობებს ინფლაციის ზრდას. ამავე დროს, პანდემიასთან დაკავშირებული სოციალური დისტანცირების ზომების და შემცირებული ეკონომიკური აქტივობის გამო მცირდება როგორც ადგილობრივი, ასევე - უცხოური მოთხოვნა, რაც განაპირობებს ინფლაციის შემცირებას. შესაბამისად, საბოლოო ცვლილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ფაქტორის გავლენა იქნება დომინანტური. საბოლოოდ, პანდემიის პირობებში წარმოების გაზრდილი ხარჯებისა და ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების ეფექტებმა გადაწონა, რის შედეგადაც წლიური ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლის ზემოთ ნარჩუნდებოდა. 2021 წლის პირველ კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 4.5 პროცენტი. წლიური ინფლაციის ზრდა მნიშვნელოვნად არის გამოწვეული მარტის თვეში წლიური ინფლაციის მნიშვნელოვანი ზრდით (7.2 პროცენტი), რომელიც თავის მხრივ გაიზარდა კონრკეტული პროდუქციის სუბსიდირების პროგრამის შეწყვეტის გამო. ამავე დროს, წლის დასაწყისიდან შეიმჩნევა საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდის ტენდენცია, ნავთობპროდუქტებისა და სურსათის ზოგიერთ ჯგუფზე. საბაზო ინფლაცია (თამბაქოს გარეშე) პირველ კვარტალში გაუტოლდა 6.2 პროცენტს. საბაზო ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი მთლიან ინფლაციასთან შედარებით, გამოწვეულია ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებითა და ფირმების საოპერაციო ხარჯების ზრდით.


17 მარტს ეროვნული ბანკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 0.5 პპ-ით გაზრდის თაობაზე, როგორც სუბსიდიების დასრულებიდან ინფლაციაზე ზრდის ზეწოლის შესამსუბუქებლად. ეროვნული ბანკის მიხედვით, 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 4-4.5 პროცენტის ფარგლებში იქნება და შემდეგ მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება.

დიაგრამა 9: წლიური ინფლაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 10: ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

ლარის გაუფასურების მიუხედავად, ადგილობრივი ინფლაცია აჭარბებს იმპორტირებულ ინფლაციას. 2021 წლის პირველი კვარტლის ჭრილში, ადგილობრივი ინფლაცია გაუტოლდა 2.1 პროცენტს, ხოლო იმპორტირებულმა ინფლაციამ შეადგინა 0.9 პროცენტი. აღნიშნული დინამიკა გამოწვეულია სურსათზე ფასის მომატებით და სამომხმარებლო კალათაში სასურსათო საქონლის ჯგუფის მიერ შეფარდებით მაღალი წონის დაკავებით.



დიაგრამა 11: ინფლაციის დეკომპოზიცია, I კვარტალი, 2021






რეგიონის ეკონომიკის მიმოხილვა

COVID-19 პანდემიით გამოწვეული რეცესიის გამო შეფერხებულია ეკონომიკური აქტივობა როგორც განვითარებულ, ასევე - მზარდ და განვითარებად ქვეყნებში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2021 წლის აპრილში განახლებული პროგნოზის თანახმად, გლობალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 2020 წელს -3.3 პროცენტი შეადგინა, რაც 2020 წლის ოქტომბრის პროგნოზს 1.1 პროცენტული პუნქტით აღემატება. ამავე დროს, სსფ-ის მიხედვით, 2021 წელს მოსალოდნელია გლობალური ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, მისი მნიშვნელობაც 6 პროცენტს შეადგენს, რაც 0.9 პროცენტული პუნქტით მეტია ოქტომბრის პროგნოზთან შედარებით. განახლებული პროგნოზის მიხედვით, განვითარებული ქვეყნებისათვის მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 2020 წელს -4.7, ხოლო 2021 წელს 5.1 პროცენტს შეადგენს. ამავე დროს, მზარდი და განვითარებადი ქვეყნებისათვის მოსალოდნელია 2020 წელს -2.2 პროცენტიანი, ხოლო 2021 წელს 6.7 პროცენტიანი ზრდა. სსფ-ის აპრილის პროგნოზის მიხედვით, ევროზონის ეკონომიკური ზრდა 2020 წელს -6.6 პროცენტს, ხოლო 2021-ში კი 4.4 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია COVID-19 პანდემიის გამო ქვეყნებს შორის საზღვრების ჩაკეცილობა და ქვეყნებს შიგნით დაწყებული შეზღუდვებით, ინვესტიციებისა და ექსპორტის შემცირებით, რაც გამოწვეულია სავაჭრო პარტნიორების მოთხოვნის შემცირებით. მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო სექტორის გამოშვება და საცალო გაყიდვები. აპრილის პროგნოზის მიხედვით, ინფლაციის დონე 2020 წელს -0.3, ხოლო 2021 წელს 1.4 პროცენტს შეადგენს.


თურქეთისთვის ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ინვესტიციების შემცირება და გაუარესებული სავაჭრო ბალანსი. ამის ფონზე, საგანგებო ვითარებამ და გლობალურმა პანდემიამ დამატებითი ზეწოლა მოახდინა თურქეთის ეკონომიკაზე. სსფ-ის პროგნოზის მიხედვით, 2020 წლის რეალური ეკონომიკური ზრდა თურქეთში 1.8 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო 2021 წელს 6 პროცენტს გაუტოლდება. თურქული ლირის გაუფასურება ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინფლაციაზე. სსფ-ის აპრილის შეფასებით, 2020 და 2021 წლებში, ინფლაციის მოსალოდნელი მნიშვნელობა შესაბამისად 12.3 და 13.6 პროცენტს შეადგენს. მნიშვნელოვანი შემცირება შეინიშნება მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მზპ-სთან თანაფარდობის, 2019 წელთან შედარებით მისი

დიაგრამა 12: ეკონომიკური ზრდა რეგიონში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 13: ინფლაცია რეგიონში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook: Managing Divergent Recoveries. Washington, DC, April 2021.

International Monetary Fund. World Economic Outlook Update: Policy Support and Vaccines Expected to Lift Activity. Washington, DC, January 2021




დიაგრამა 14: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 15: ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან, %



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook: Managing Divergent Recoveries. Washington, DC, April 2021.

International Monetary Fund. World Economic Outlook Update: Policy Support and Vaccines Expected to Lift Activity. Washington, DC, January 2021

მნიშვნელობა 6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2020 წელს -5.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია -3.4 პროცენტამდე გაზრდა. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა 2020 წელი რუსეთისთვის, რადგან კორონავირუსის პანდემიასთან ერთად, ეკონომიკურ მდგომარეობაზე ასევე უარყოფითად იმოქმედა ნავთობის საერთაშორისო ფასების შემცირებამ. შემცირდა ნავთობმოპოვების და გადამუშავების სექტორების გამოშვება, რამაც გაუარესებულ საგარეო მოთხოვნასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეამცირა ექსპორტი. სსფ-ის შეფასებით, 2020 წლის ეკონომიკური ზრდა რუსეთში -3.1 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო 2021-ში კი მოსალოდნელია 3.8 პროცენტის ზრდა. მნიშვნელოვნად შემცირდება ნაერთი ბიუჯეტი, რაც სსფ-ის მიხედვით 2020 წელს გაუტოლდება მშპ-ს -4.1 პროცენტს, ხოლო 2021 წელს გაუტოლდება -0.8 პროცენტს. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის შეფარდება მშპ-თან 2019 წელთან შედარებით 1.6 პროცენტული პუნქტით შემცირდება და 2020 წელს 2.2 პროცენტს გაუტოლდება, ხოლო 2021 წელს მისი მოსალოდნელი მნიშვნელობა 3.9 პროცენტს შეადგენს.

ნავთობის ფასის შემცირება და კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობა ასევე აისახება აზერბაიჯანის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. სსფ-ის შეფასებით, 2020 წელს აზერბაიჯანში ეკონომიკური ზრდა -4.3 პროცენტი იქნება, ხოლო 2021 წელს კი 2.3 პროცენტი. მნიშვნელოვნად შემცირდება ნაერთი ბიუჯეტის ბალანსის შეფარდება მშპ-თან. 2019 წელთან შედარებით მისი მნიშვნელობა 14.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2020 წლისთვის -6.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო 2021 წელისათვის მოსალოდნელია 5.2 პროცენტის დეფიციტი. ასევე მნიშვნელოვანი შემცირებაა მოსალოდნელი მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მშპ-თან შეფარდებაში, მისი მნიშვნელობა 2019 წელს 9.1 პროცენტის პროფიციტის შემდეგ, სსფ-ის შეფასებით 2020-2021 წლებში შესაბამისად -0.9 და 1.1 პროცენტს გაუტოლდება. მძიმე ეპიდემიოლოგიური სურათის, შემცირებული ინვესტიციებისა და ექსპორტის გამო, სომხეთის ეკონომიკური ზრდა 2020 წელს განისაზღვრა -7.6 პროცენტის დონეზე, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია 1 პროცენტის ზრდა. ბოლო პერიოდში შემცირებული ექსპორტისა და გაზრდილი იმპორტის ფონზე, მიმდინარე ანგარიშის ბალანსის შეფარდება მშპ-თან სსფ-ის აპრილის პროგნოზის მიხედვით შეადგენს -4.6 პროცენტს, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელია -6.7 პროცენტი.




საგარეო სექტორი

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2020 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 12.3 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვანი გაუარესებაა 2019 წლის 5.5 პროცენტიანი დეფიციტის შემდეგ. რაც შეეხება კვარტლების მიხედვით დეფიციტს, პირველ და მეორე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 11.2 და 11.7 პროცენტი შეადგინა, შესაბამისად. ხოლო წლის მეორე ნახევარში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუარესდა და მშპ-ს 13.1-13.2 პროცენტამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს მიმდინარე ანგარიშის აღნიშნული გაუარესება ძირითადად გამოწვეულია კორონა პანდემიის გამო ჩაკეტილი საზღვრების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსით. ბოლო პერიოდში, იმპორტირებულ საქონელზე მზარდ მოთხოვნას მომსახურების ექსპორტის მზარდი მიწოდება უზრუნველყოფდა, თუმცა განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყნის საგარეო ტურიზმი თითქმის ნულამდე შეამცირა. 2008 წლის შემდეგ (2008 წლის მესამე კვარტალი), 2020 წლის მესამე კვარტალში პირველად დაფიქსირდა, რომ მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი გასავალზე ნაკლები აღმოჩნდა, რამაც უარყოფითი წვლილი შეიტანა მიმდინარე ანგარიშის ბალანსში (1.2 პ.3), აღნიშნული შენარჩუნდა მეოთხე კვარტალშიც და უარყოფითმა წვლილმა 1.7 პ.3 შეადგინა.


მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. დეფიციტის ვალით დაფინანსება გულისხმობს ახალი ვალის აღებას და შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯის გაწევას ვალის მომსახურებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე განხორციელდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში უმჯობესდებოდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურა და 2017 წელს დეფიციტი მთლიანად იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული. 2019 წლის მესამე კვარტალში, ადგილი ჰქონდა მიმდინარე ანგარიშის პროფიციტს 0.4 პროცენტის დონეზე. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, დეფიციტის დაფინანსებაში საგარეო ვალი საკმაოდ დიდი წვლილით მონაწილეობს. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია 2020 წელი, როცა ვალით დაფინანსებამ საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა დეფიციტის

დიაგრამა 16: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 17: ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 18: მიმდინარე ანგარიშის დაფინანსება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 19: საგარეო ვალი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 20: ვალის მშპ-თან თანაფარდობის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი.
შენიშვნა: მშპ-ს საზომად გამოყენებულია ბოლო 4 კვარტლის ჯამი

დიაგრამა 21: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქსტატი

დაფინანსებაში. რაც შეეხება 2020 წლის მეოთხე კვარტალს, შემცირებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა უარყოფითად იმოქმედა დეფიციტის დაფინანსებაზე, აღნიშნული შემცირება კი გამოწვეულია რამდენიმე საწარმოს გადასვლით საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში.

საბარემო პალი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის დამატებით სისუსტედ საგარეო ვალი მიიჩნევა, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ. საგარეო ვალი შედგება როგორც სამთავრობო სექტორის ვალისგან, ასევე - კომერციული და ეროვნული ბანკის საგარეო ვალისგან და კომპანიათაშორისი სესხებისგან.

მიმდინარე პანდემიის პირობებში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2020 წელს და მთლიანი შიდა პროდუქტის 127.7 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ვალი 21 პ.პ-ით არის გაზრდილი. საგარეო ვალის ზრდა ძირითადად გამოწვეულია სამთავრობო სექტორის ვალის ზრდით, მიმდინარე პანდემიისას განხორციელებული ღონისძიებებისა და მოზიდული დაფინანსების გამო.

საგარეო ვალის ცვლილების დეკომპოზიცია წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ანუ ვალის აღებით, ასევე - საფასო ეფექტით, გაცვლითი კურსის ცვლილებითა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში საგარეო ვალის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი გაცვლითი კურსის გაუფასურებამ შეიტანა, ხოლო მშპ ძირითადად ხელს უწყობდა საგარეო ვალის შემცირებას. 2020 წლისთვის ვალის მშპ-თან შეფარდება გაზრდილია 21.0 პროცენტული პუნქტით, აღნიშნულ ცვლილებაში კი მთავარი ფაქტორი იყო როგორც საოპერაციო ცვლილება (+17.6 პროცენტული პუნქტი), ასევე - გაცვლითი კურსის ცვლილება (+16.7 პროცენტული პუნქტი). თუმცა, სხვა ფაქტორებმა წვლილი შეიტანა ვალის შემცირებაში, ხოლო ფასის ეფექტი დაბალი იყო. აღსანიშნავია, რომ გაცვლითი კურსის გავლენა ვალის ზრდაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2020 წლის მესამე კვარტალში.



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


2020 წელს საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 617 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 52.9 პროცენტით ნაკლებია. აღნიშნული კლების გამომწვევი ძირითადი მიზეზია რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში (340.5 მლნ აშშ დოლარით შემცირება). შედეგად, 2020 წლის მეოთხე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2020 წელს განხორციელდა ძირითადად გაერთიანებული სამეფოდან (49.9 პროცენტი), ნიდერლანდიდან (27.9 პროცენტი), თურქეთიდან (17.5 პროცენტი), აშშ-დან (15.1 პროცენტი) და მალტადან (4.5 პროცენტი). რაც შეეხება სექტორებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 64.9 პროცენტი შეადგინა საფინანსო სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა, სამთომოპოვებით მრეწველობაში – 16.5 პროცენტი, უძრავ ქონებაში განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 11.6 პროცენტი, დამამუშავებელ მრეწველობაში – 11.0 პროცენტი და მშენებლობაში – 10.1 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან მთლიან ინვესტიციებში ფიქსირდება რეინვესტირების შედარებით მაღალი დონე, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემო დადებითად აღიქმება ინვესტორების მიერ და მეტი ინვესტორი აგრძელებს ბიზნეს გეგმებს საქართველოში. კორონა პანდემიის მიუხედავად, 2020 წელსაც რეინვესტირების მაღალი დონე დაფიქსირდა. კერძოდ, მისმა მოცულობამ 301 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 1.9 პროცენტია (2019 წელს რეინვესტირება მშპ-ს 2.3 პროცენტზე დაფიქსირდა).

საბარემო ვაჭრობა


2020 წელს, მსოფლიოში გავრცელებული ეპიდემიის და ქვეყნების უმრავლესობის მიერ შეზღუდვების დაწესების ფონზე, შემცირდა საგარეო მოთხოვნა. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ფაქტორების უარყოფითი გავლენა საქართველოს ექსპორტზე, ფულად გზავნილებსა და საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავალზე იქნება უარყოფითი გარკვეული დროის განმავლობაში, ეპიდემიის ირგვლივ არსებული გაურკვევლობის გამო. ამავე დროს,

დიაგრამა 22: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 23: FDI-ის განაწილება, 2020



წყარო: საქსტატი


დიაგრამა 24: საგარეო ვაჭრობა, იანვარი-მარტი



წყარო: საქსტატი




დიაგრამა 25: ადგილობრივი ექსპორტის წლიური ცვლილება




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 26: იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 27: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი; ავტორის გაანგარიშება

ქვეყნის შიგნით შემცირებული ეკონომიკური საქმიანობის გამო, ასევე შემცირდა იმპორტის მოცულობა. 2020 წელს ნომინალური ექსპორტის წლიურმა ზრდამ შეადგინა -12.0 პროცენტი და გაუტოლდა 3,342 მლნ აშშ დოლარს, ადგილობრივი ექსპორტის ზრდამ კი შეადგინა 3.5 პროცენტი. რაც შეეხება 2021 წლის პირველ კვარტალს, ნომინალური ექსპორტი 5.2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი - 13.6 პროცენტით გაიზარდა, რაშიც რეალურმა ზრდამ 11.8 პროცენტი შეადგინა. ამავე დროს, 2020 წელს იმპორტის წლიური კლება დაფიქსირდა 15.6 პროცენტზე და გაუტოლდა 8,031 მლნ აშშ დოლარს, ხოლო 2021 წლის პირველ კვარტალში იმპორტის 2.4 პროცენტის კლება დაფიქსირდა, აქედან კი რეალურმა კლებამ შეადგინა 6.4 პროცენტი.

2021 წლის პირველ კვარტალში, სამომხმარებლო საქონლის იმპორტი შემცირდა 5.7 (-2.0 პ.პ წილი) პროცენტით, შუალედური საქონლის იმპორტი 0.5 პროცენტით (-0.2 პ.პ. წილი), ხოლო საინვესტიციო საქონლის იმპორტი შემცირდა 0.7 პროცენტით (-0.2 პ.პ. წილი). აღნიშნულ პერიოდში, ტრადიციული საქონლის ექსპორტი გაიზარდა 7.8 პროცენტით, ხოლო ნედლეულის ექსპორტი გაიზარდა 9.7 პროცენტით. 2021 წლის პირველ კვარტალში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 158.8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 19.4 პროცენტი), მეორე ადგილზე - მსუბუქი ავტომობილები 86.6 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 10.5 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე - ფეროშენადნობები 83.7 მლნ. აშშ დოლარით (10.2 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი შეადგინა მსუბუქი ავტომობილების ჯგუფმა 168.5 მლნ აშ დოლარით (მთლიანი იმპორტის 8.6 პროცენტი), მეორე ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა 145.8 მლნ. აშშ დოლარით (7.5 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე - ნავთობმა და ნავთობპროდუქტებმა 141.9 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი იმპორტის 7.3 პროცენტი) დაიკავა.

ტურიზმი

2020 წელს, COVID-19 ეპიდემიის გავრცელებიდან თავის არიდების მიზნით, მარტში მოხდა საზღვრების ჩაკეტვა და საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტა საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული შეზღუდვის შედეგად მკვეთრად შემცირდა საერთაშორისო ვიზიტების




რაოდენობა. შესაბამისად, 2020 წლის მეორე კვარტლიდან მნიშვნელოვნად არის შემცირებული როგორც ვიზიტორების რაოდენობა, ასევე - ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი. კლება გაგრძელდა 2021 წლის პირველ კვარტალშიც, ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 138 ათასი შეადგინა, მაშინ როდესაც გასული წლის პირველ კვარტალში იგივე მაჩვენებელი 1,158 ათასი იყო და წლიურად შემცირება 88 პროცენტზე დაფიქსირდა. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები აღნიშნულ პერიოდში წლიურად 87.5 პროცენტით შემცირდა და 53.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საზღვრების გახსნამდე და ტურისტული მიმოსვლების განახლებამდე მოსალოდნელია, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები განაგრძობს შემცირებას.

ფულადი გზავნილები


2020 წელს წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობამ 1,639 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 9.6 პროცენტით მეტია წინა წელთან შედარებით. აღნიშნულ ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა იტალიამ და უკრაინამ (ჯამურად 7 პროცენტის წვლილი), ხოლო რუსეთის წვლილი უარყოფითია, -4.4 პროცენტით. რაც შეეხება 2021 წლის პირველ კვარტალს, წმინდა ფულადი გზავნილები 32.9 პროცენტით არის გაზრდილი წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით 9.3 პროცენტის კლება დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ პირველ კვარტალში გზავნილების ზრდა, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ძირითადად განპირობებულია ევროპის ქვეყნებიდან, აშშ-დან, აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან გზავნილების ზრდით. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, ბოლო პერიოდში ფულადი გზავნილების შემცირების შემდეგ, 2021 წლის პირველ კვარტალში ზრდა დაფიქსირდა და ფულადი გზავნილების ცვლილებაში დადებითი, 0.5 პროცენტის წვლილი შეიტანა, ხოლო სომხეთიდან გზავნილების შემცირებამ უარყოფითი (-0.8 პ.პ) წვლილი შეიტანა. აღსანიშნავია, რომ გასული წლის პირველ კვარტალში ფულადი გზავნილების დაბალი დონე ნაწილობრივ განპირობებული იყო ნავთობზე ფასების შემცირებით, რამაც დამატებითი დარტყმა მიაყენა ნავთობზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული ქვეყნების ეკონომიკას, განსაკუთრებით კი ეს შეეხო რუსულ რუბლს და აისახა რუსეთიდან გზავნილების შემცირებაში.

დიაგრამა 28: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 29: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 30: წმინდა ფულადი გზავნილები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება

საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების მიხედვით. მიმდინარე ანგარიშის შემოსულობებში ექსპორტის, ტურიზმისა და ტრანსფერების წილების მიხედვით, საქართველო დამოკიდებულია რუსეთზე, თურქეთზე, უკრაინასა და ევროკავშირის ქვეყნებზე. 2020 წლის საგადასახდელო ბალანსის თანახმად, ევროკავშირზე დამოკიდებულება გაიზარდა, ხოლო რუსეთსა და თურქეთზე დამოკიდებულება ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა. ასეთი შემცირება შეიძლება აიხსნას ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის სწრაფი შემცირებით, რაც გამოწვეულია პანდემიით გამოწვეული მოგზაურობის შეზღუდვით და ფულადი გზავნილების შემცირებით რუსეთსა და თურქეთში ეკონომიკური შენელების შედეგად, ნავთობის ფასისა და გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. რუსეთიდან საქართველოში ფრენების აკრძალვამ გამოიწვია ტურისტების მკვეთრი შემცირება რუსეთიდან, 2019 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში, რაც აისახა რუსეთიდან შემოსავლების შემცირებაში. ამასთან, ეს ზარალი ანაზღაურდა სხვა ქვეყნების საერთაშორისო მოგზაურთა მზარდი რაოდენობით. რაც შეეხება 2020 წელს, ტურიზმის წილი შემცირდა და მიუახლოვდა ნულს, ხოლო ფულადი გზავნილების წილი გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირზე დამოკიდებულება გაიზარდა ტურიზმის წილის შემცირების შემდეგ, რაც განპირობებული იყო ექსპორტისა და ფულადი გზავნილების ზრდით. 2020 წელს ფულადი გზავნილების წილი 5-დან 9 პროცენტამდე გაიზარდა.

დიაგრამა 31: დამოკიდებულება სავაჭრო პარტნიორებზე




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი




გაცვლითი კურსი

დიაგრამა 32: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 33: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

კორონა ვირუსის პანდემიისა და ნავთობის ფასის საერთაშორისო ვარდნის ფონზე აშშ დოლარი გამყარდა განვითარებადი ქვეყნების ვალუტების მიმართ, რაც შეიმჩნევა რეგიონის ქვეყნების ვალუტების შეწონილი ინდექსის დადამავალ ტენდენციაშიც. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ლარი გაუფასურდა რეგიონის ქვეყნების ვალუტების მიმართაც, რაც თავის მხრივ განპირობებულია იმით, რომ ტურიზმს საქართველოს ეკონომიკაში უფრო მნიშვნელოვანი წილი უკავია, ვიდრე - რეგიონის ქვეყნების ეკონომიკაში, არსებულმა პანდემიამ კი ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმის სექტორს მიაყენა. ლარი გამყარებულია თურქული ლირას მიმართ.

2021 წლის პირველ კვარტალში ლარის გაცვლითი კურსი დოლარის მიმართ გაუფასურდა 11.7 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 1.3 პროცენტით 2020 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით. რაც შეეხება გაცვლითი კურსის ცვლილებას 2021 წლის პირველ იანვართან შედარებით, დოლარის მიმართ ლარის კურსი 4.0 პროცენტით არის გაუფასურებული, ევროს მიმართ კი 0.5 პროცენტით არის გამყარებული. ლარი ასევე გამყარებულია თურქული ლირას მიმართ, 8.2 პროცენტით, ხოლო რუსული რუბლის მიმართ გაუფასურებულია 2.3 პროცენტით. მარტის მდგომარეობით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი გაუფასურებულია თავისი საშუალოვადიანი ტრენდიდან და -9 პროცენტით არის გადახრილი. რაც შეეხება ფასების დონით კორექტირებულ გაცვლით კურსს, დეკემბერში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის მნიშვნელობა ტრენდიდან -8.8 პროცენტით არის გადახრილი.

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსების ცვლილება

| | 31 მარტი, 2021 | 31 მარ 2021 - 1 იან 2021 | 31 მარ 2021 - 1 იან 2020 |
|---|----------------|--------------------------|--------------------------|
| ევრო | 4.0044 | ▼ -19.7% | ▼ -23.6% |
| აშშ დოლარი | 3.4118 | ▼ -16.0% | ▼ -21.7% |
| თურქული ლირა | 0.4064 | ▲ 18.5% | ▲ 24.4% |
| რუსული რუბლი | 0.0449 | ▲ 2.6% | ▼ -14.5% |
| ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი | 109.82 | ▼ -0.7% | ▼ -7.9% |
| რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (თებერვალი, 2020) | 103.18 | ▼ -1.7% | ▼ -8.9% |

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



ფისკალური საქტორი

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

2021 წლის პირველ კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2,947.8 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2,957.1 მლნ ლარი, რაც შეადგენს საპროგნოზო მაჩვენებლის 100.3 პროცენტს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 834.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (856 მლნ ლარი) 97.5 პროცენტია.

- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 430 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (455 მლნ ლარი) 94.5 პროცენტია.

- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 1,205.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,232 მლნ ლარი) 97.8 პროცენტია.

- აქციზის სახით მობილიზებულია 306.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (223.4 მლნ ლარი) 137.3 პროცენტია.


- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 17 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (20.5 მლნ ლარი) 83.1 პროცენტია.

- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 11.7 მლნ ლარი, ხოლო სხვა გადასახადებიდან მობილიზებულია 151.8 მლნ ლარი.

2021 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 4.5 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 11.7 პროცენტით. ამავე დროს, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა -18.2 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -588.3 მლნ ლარით.


საბიუჯეტო შემოსავლებში მნიშვნელოვან წილს იკავებს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, რაც 2021 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით შეადგენს 87.5 პროცენტს. ნაერთმა ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 2,957 მლნ ლარი, რაც 0.9 პროცენტით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული შემოსავალი წლიურად შემცირდა 15.5 პროცენტით და გაუტოლდა 834.5 მლნ ლარს. მაღალი ზრდა შეინიშნება აქციზის გადასახადიდან მიღებული შემოსავლის სახით, რომელიც წლიურად გაიზარდა

დიაგრამა 34: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


დიაგრამა 35: ნაერთი ბიუჯეტის სალდო



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო




დიაგრამა 36: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი



36.5 პროცენტით წინა წელთან შედარებით და გაუტოლდა 306.6 მლნ ლარს. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში ყველაზე დიდი წილი უკავია დღგ-დან მიღებულ შემოსავალს, რომლის წილი 2021 წლის პირველ კვარტალში შეადგენს 40.8 პროცენტს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი უდრის -0.9 პროცენტს. ასევე 2.7 პროცენტით შემცირდა მოგების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი და შეადგინა 430 მლნ ლარი. კლება დაფიქსირდა იმპორტის გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში, რომლის წილი გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში შეადგენს 0.6 პროცენტს და წლიურად შემცირდა 16.3 პროცენტით.

2021 წლის პირველ კვარტალში ხარჯები წლიურად გაიზარდა 11.7 პროცენტით და შეადგინა 3,396.4 მლნ ლარი. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ყველაზე დიდი წილი უკავია სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებს, რომელიც შეადგენს მთლიანი ხარჯების 44.5 პროცენტს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი ტოლია 12.8 პროცენტის. აღნიშნული ზრდა გარკვეულწილად გამოწვეულია პანდემიის პირობებში შემუშავებული სოციალური ღონისძიებებით. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯები, რომლის წლიური ზრდის ტემპი გაუტოლდა 7.9 პროცენტს და შეადგინა 345.3 მლნ ლარი, რაც შეადგენს მთლიანი ხარჯების 10.2 პროცენტს. რაც შეეხება ხარჯების დანარჩენ მუხლებს, შრომის ანაზღაურებას (მთლიანი ხარჯების 14.4 პროცენტი), საქონელსა და მომსახურებას (მთლიანი ხარჯების 11.9 პროცენტი), პროცენტს (მთლიანი ხარჯების 5.4 პროცენტი) და სხვა ხარჯებს (მთლიანი ხარჯების 13.4 პროცენტი), 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 9.2 პროცენტით, 10.1 პროცენტით, 7 პროცენტით და 18 პროცენტით მეტი იქნა მათზე მიმართული.

დიაგრამა 37: ნაერთი ბუჯეტის ხარჯები






საქართველოს სახელმწიფო ვალი


2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 32,526.9 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 6,186.1 მლნ ლარს, მათ შორის:
 - ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სეპ-ისთვის“) – 200.8 მლნ ლარი;
 - სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 152.0 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 723.4 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 5,069.1 მლნ ლარი;
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 26,340.8 მლნ ლარს.


დიაგრამა 38: საქართველოს სახელმწიფო ვალი




სახელმწიფო საგარეო ვალი



მრავალმხრივი



ორმხრივი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



მონეტარული სექტორი

კერძო სექტორის ლარიზაცია


სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია, 2021 წლის 1 აპრილის მდომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 44.4 პროცენტს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ლარიზაციის ძირითად დეტერმინანტს კვლავ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაცია წარმოადგენს. 2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 59.5 პროცენტი, ხოლო იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე - 28.9 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, მზარდი ტენდენცია გააჩნია როგორც იპოთეკური, ასევე - სამომხმარებლო სესხების ლარიზაციას, მაგრამ სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. 2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 87.3 პროცენტს შეადგენს, ხოლო იპოთეკური სესხების ლარიზაცია გაუტოლდა 34.2 პროცენტს.

აგრეთვე მზარდია დეპოზიტების ლარიზაცია, თუმცა მისი მნიშვნელობა ჩამოუვარდება სესხების ლარიზაციას და 2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 36.1 პროცენტს უტოლდება. დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია. 2021 წლის 1 აპრილს, იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 50.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 23.3 პროცენტს შეადგენს.


აღსანიშნავია, რომ 2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მზარდი ტენდენცია შეინიშნება ვადიანი დეპოზიტების ლარიზაციაში, 2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 38.1 პროცენტს გაუტოლდა და მთლიანი დეპოზიტების ლარიზაციაში ძირითად კონტრიბუტორად იქცა. ამავე პერიოდში მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია - 42.9, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 32.7 პროცენტს შეადგენს.

დიაგრამა 39: სესხების ლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა 40: დეპოზიტების ლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




დიაგრამა 41: სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 42: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხების მიმოხილვა

საკრედიტო პორტფელის წლიურ ზრდაში კლების ტენდენცია შეინიშნება და 2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 8.9 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით). აგრეთვე მნიშვნელოვანი კლება შეინიშნება იურიდიული პირების სესხების წლიურ ზრდაში, რამაც განაპირობა 2021 წლისათვის მისი მნიშვნელობის 7.5 პროცენტამდე შემცირება, ამავე პერიოდში ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 10.6 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული ცვლილებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში არსებული დინამიკა, რომლის მიხედვითაც სესხების ზრდის ძირითად მამოძრავებელს იურიდიული პირების სესხების ზრდა წარმოადგენდა, 2021 წლის პირველი კვარტლისათვის შეიცვალა და ფიზიკური პირების სესხებს მთლიან ზრდაში ძირითადი წვლილი შეაქვს.

აღსანიშნავია რომ ეროვნული ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდას ბოლო პერიოდში აღმავალი ტენდენცია გააჩნია და 2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 20.3 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი კლების დინამიკა დაფიქსირდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების დინამიკაში, რომელიც, მეოთხე კვარტალთან შედარებით, 4 პროცენტული პუნქტით შემცირდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 2021 წლის აპრილისთვის 1.2 პროცენტს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ არსებული დინამიკა ხელს უწყობს სესხების ლარიზაციის ზრდას, რაც დადებითად აისახება ქვეყნის მოწყვლადობის შემცირებაზე გაცვლითი კურსის მერყეობის მიმართ.

2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 17.5 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული, 31.8 პროცენტით, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 11.3 პროცენტით გაიზარდა.




დეპოზიტების მიმოხილვა

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2021 წლის 1 აპრილს, 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 21.4 პროცენტს შეადგენს. მნიშვნელოვანი ზრდის დინამიკის შემდეგ უკანასკნელ კვარტალში ზრდის შემცირების ტენდენცია შეინიშნა ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიურ ზრდაში, 2020 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, მისი მნიშვნელობა 4.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 1 აპრილის მდგომარეობით 35.3 პროცენტი შეადგინა, ამავე პერიოდში უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდის სტაბილური ტენდენცია ზრდით შეიცვალა, უკანასკნელი კვარტალის განმავლობაში 5.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და იმავე პერიოდში 14.7 პროცენტი შეადგინა.

2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 15.9 პროცენტი შეადგინა, რაც 5.1 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა კვარტლის მნიშვნელობას, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 28 პროცენტს გაუტოლდა.

რაც შეეხება დეპოზიტების ზრდას ტიპების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშების წლიური ზრდა შემცირების ტენდენციით ხასიათდება და 2021 წლის აპრილის დასაწყისში 12.5 პროცენტი შეადგინა, მიმდინარე ანგარიშების ზრდის ტემპის შენელება დაბალანსებული იყო მოთხოვნამდე დეპოზიტების ნაშთების ზრდაში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი მატებით, 1 აპრილის მდგომარეობით მოთხოვნამდე დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 27 პროცენტს გაუტოლდა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა მთლიანი დეპოზიტების ზრდა. ამავე პერიოდში ვადიანი დეპოზიტების ზრდამ 23.1 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა 43: დეპოზიტების წლიური ზრდა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

დიაგრამა 44: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 45: სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის პირველ კვარტალში ჩაატარა ორი სხდომა. 3 თებერვლის სხდომაზე, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთის 8 პროცენტზე უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. ხოლო 17 მარტს მოხდა რეფინანსირების განაკვეთის 50 საბაზისო პუნქტით ზრდა. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.50 პროცენტით განისაზღვრა. სებ-ის თანახმად, ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა დამოკიდებულია საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდის ტენდენციაზე და პანდემიით გამოწვეული გამოშვების შემცირების გამო პროდუქციაზე საშუალო დანახარჯების ზრდაზე. ამავე დროს, ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებულ დონეზე ხანგრძლივად შენარჩუნება ფასების ზრდაზე დამატებით წნეხს აჩენს. გარდა ამისა, მაღალი რჩება გაურკვევლობა საგარეო მოთხოვნის აღდგენის დინამიკის კუთხით. ეროვნული ბანკის პროგნოზის მიხედვით, არსებული პროგნოზით, სხვა თანაბარ პირობებში, 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 4-4.5 პროცენტის ფარგლებში იქნება და შემდეგ მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება. 2021 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა მოახდინა 160 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა.



საპროცენტო განაკვეთები


2021 წლის 1 აპრილისთვის, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.2 პროცენტს უტოლდება.

2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 9.2 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 1.7 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.4 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9 პროცენტს შეადგენს.

2021 წლის 1 აპრილს საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 18.2 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 23.5 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.4 პროცენტი). გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს, რომლის მნიშვნელობა 2021 წლის 1 აპრილს 17.3 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 18.6 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე - 7.8 პროცენტს.


იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2021 წლის მარტის ბოლოს 12.6 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 7 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 11.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6.3 პროცენტი.

დიაგრამა 46: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 47: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული, როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

